**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# ეჩო




ეჩო, ხის სათლელი რკინის იარაღი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი. დანიშნულებისა და სამუშაო პირის მოყვანილობის მიხედვით ცნობილია სხვადასხვა სახის ე. (ღორეჩო, ფეხეჩო, ხელეჩო, ცულეჩო, თოხეჩო და სხვ.). მისი სათლელი პირი თავისკენ მიითლის ნაფოტს და მთლელისკენ ისვრის, რაც თავისებურადაა ასახული ხალხ. სიტყვიერებაში „განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს?”

***ნ. რეხვიაშვილი***

---